2024–2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია

პროექტი

წინამდებარე პროექტი მომზადდა 2024–2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ძირითადი ხედვის წარმოსაჩენად.

მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მისია

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის მისიას მაღალი ხარისხის, დროული და რელევანტური ოფიციალური სტატისტიკის წარმოება და გავრცელება წარმოადგენს. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაძლებლობების ზრდასა და საჯარო ანგარიშვალდებულების გაძლიერებას. ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდასაჭერად, ჩვენ მზად ვართ სრულვყოთ სტატისტიკის ეროვნული სისტემა, რომელიც მისაღები იქნება მომხმარებელთა ფართო წრისათვის, სრულად დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ ხელთ არსებული მონაცემების სრული პოტენციალის ათვისებას.

ხედვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის ხედვა საშუალო- და გრძელვადიან ჩარჩოს წარმოადგენს და, შესაბამისად, ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტია.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს შემდგომი ინტეგრაციისა და გლობალური დღის წესრიგის გათვალისწინებით, საქსტატი ისწრაფვის მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისაკენ, რათა ხელი შეეწყოს უახლესი საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შეუფერხებლად დანერგვას ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში. 2030 წლის დღის წესრიგის შესრულების მექანიზმების გაძლიერება და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) პროგრესის მონიტორინგისათვის მაღალი პრიორიტეტის მაჩვენებლების შემუშავება პირდაპირ უკავშირდება სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების წინაშე მდგარ ამოცანებს.

ოფიციალური სტატისტიკის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენ ვგეგმავთ აქტიურ მონაწილეობას ევროპის სტატისტიკურ ინიციატივებში; შემდგომში საქსტატის ევროკავშირის სტატისტიკურ სისტემაში (ESS) ინტეგრაციის მიზნით ახალი პარტნიორული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გაზრდის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობებს.

ჩვენი ხედვა გულისხმობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის გარდაქმნას მონაცემთა მართვისა და განკარგვის *(stewardship)* ძლიერ და კარგად კოორდინირებულ მოდელად, რაც ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებასა და გაუმჯობესებას. ინოვაციური მიდგომებისა და ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერებით, ჩვენ მზად ვართ შევასრულოთ წამყვანი მაკოორდინირებელი ორგანოს როლი სანდო, დროული და მომხარებელზე ორიენტირებული ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაში, რაც, თავის

მხრივ, უზრუნველყოფს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მტკიცე მხარდაჭერას.

ღირებულებები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის ძირითადი ღირებულებებია:

პროფესიული დამოუკიდებლობა და გამოცდილება – კვალიფიციური სამუშაო ძალის შენარჩუნება და ხარისხისადმი ერთგულება. პროფესიული დამოუკიდებლობა წარმოადგენს ზუსტი და სანდო ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტურ წინა პირობას;

აქტუალურობა და სანდოობა – მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და ანგარიშგების საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტები ზუსტი და სანდო ოფიციალური სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭიროებებთან შესაბამისობაში;

ინოვაციურობა – ოფიციალური სტატისტიკის ეფექტურობის, სიზუსტისა და შესაბამისობის გაუმჯობესება ინოვაციური მეთოდების უწყვეტი შეფასებისა და დანერგვის გზით;

მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება – მონაცემების კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის სისტემების უზრუნველყოფით მონაცემების გამოყენებასა და დამუშავებაში კონფიდენციალურობისა და საზოგადოების არსებითი ნდობის შენარჩუნება;

მომხმარებელზე ორიენტირებულობა – დაინტერესებული მხარეების, მათ შორის პოლიტიკის გამტარებლების, მკვლევარების, ბიზნესისა და ფართო საზოგადოების საჭიროებების პრიორიტეტიზაცია და სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება მათი კონკრეტული საჭიროებების და მოლოდინების თანახმად;

გამჭვირვალობა და ღიაობა – მონაცემთა წარმოების გამჭვირვალე პროცესის, მეთოდოლოგიების გაზიარებისა და მონაცემთა ღია ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფში მონაცემთა გამოყენების გასაუმჯობესებლად;

ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება – ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობა მონაცემთა შეგროვებასა და ანგარიშგებაში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ზუსტად დაფიქსირების მიზნით, “No One Left Behind – არავინ დარჩეს მიღმა” პრინციპით.

სტატისტიკის ეროვნული სისტემის ძირითადი ღირებულებები თავის მხრივ გულისხმობს ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი ღირებულებების საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც 2022 წელს ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციაზე იქნა მიღებული[1].

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, განისაზღვრა სამი სტრატეგიული მიზანი, რომლებზეც ფოკუსირდება საქართველოს 2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის

[1] Core values of official statistics – https://unece.org/sites/default/files/2022-07/ECE_CES_2022_2-2211176E_0.pdf

ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია. სამივე სტრატეგიული მიზნის ქვეშ დაჯგუფდა და გაიწერა სტრატეგიული ამოცანები. სტრატეგიული მიზნები და მათთან დაკავშირებული ამოცანები ქვემოთ არის წარმოდგენილი.

პრიორიტეტული მიმართულებები:

მიზანი 1: მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად

ეროვნულ, რეგიონულ, მუნიციპალურ და, მათ შორის, ქვე-დარგობრივ დონეზე მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციით მომხმარებელთა რეალური საჭიროებების დაკმაყოფილება საქსტატისა და სტატისტიკის ეროვნული სისტემის სხვა წევრების ძირითადი ფუნქციაა. საქსტატი და ეროვნულ სისტემაში შემავალი სტატისტიკის სხვა მწარმოებლები და მონაცემების მიმწოდებლები ისწრაფვიან საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებისა და სტატისტიკის წარმოების არეალის მაქსიმალურად გაფართოებისკენ მომხმარებელთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ეროვნული პოლიტიკით განსაზღვრული გეგმებისა და პროგრამების შემუშავების მხარდაჭერით, საერთაშორისო სტანდარტებისა და ხარისხის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ამოცანა 1.1 მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის

მაღალი ხარისხის სტატისტიკა უზრუნველყოფს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას ხელისუფლების ყველა დონეზე, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებაში. ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მოსალოდნელი პროგრესი წარმოშობს დამატებით მოთხოვნებს მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოების მიზნით დაგეგმილი რეფორმების მხარდასაჭერად.

ევროკავშირი ყურადღებას ამახვილებს მონაცემთა ხარისხსა და შესადარისობაზე როგორც პოლიტიკის, რეგულაციებისა და სტანდარტების ჰარმონიზაციისთვის აუცილებელ კომპონენტებზე. მომხმარებლის საჭიროებებისა და მაღალი ხარისხის სტატისტიკაზე მოთხოვნის გათვალისწინებით, საქსტატი და ეროვნულ სისტემაში შემავალი სტატისტიკის სხვა მწარმოებლები მიზნად ისახავენ ოფიციალური სტატისტიკის გაფართოებას, ახალი მაჩვენებლების წარმოებას და არსებული მაჩვენებლების დისაგრეგირებას (რეგიონების, სქესის მიხედვით და ა.შ.). საქსტატისა და სტატისტიკის ეროვნულ სისტემაში შემავალი სხვა წევრების მიერ გასატარებელი ღონისძიებები მოიცავს რეგიონული სტატისტიკის შემდგომ განვითარებას, ადმინისტრაციული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებას, გენდერული სტატისტიკის განვითარებას, მდგრადი განვითარების მიზნების მაღალი პრიორიტეტის მაჩვენებლების წარმოებას და თვითშეფასების დანერგვას, რომელიც ეფუძნება ევროპის სტატისტიკური სისტემის გამოკვლევების ხარისხის სისტემური თვითშეფასების გენერალურ კითხვარს (DESAP). მოცემული სტრატეგიული ამოცანა მიმართულია, ასევე, დარგობრივი სტატისტიკის წარმოების სრულყოფისაკენ. რეგიონული სტატისტიკის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია საქართველოში ევროპული კლასიფიკაციის NUTS-ის (ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისთვის) დანერგვასთან. იგი უზრუნველყოფს სტანდარტულ გეოგრაფიულ დონეზე სტატისტიკური ინფორმაციის წარმოდგენას ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად. აქვე მნიშვნელოვანია მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის უმაღლესი სტანდარტით ჩატარების ხელშეწყობა.

ამოცანა 1.2 ადმინისტრაციული და მონაცემთა ალტერნატიული წყაროების დივერსიფიკაცია და გაფართოება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის მიერ სტატისტიკის წარმოება ყოვლისმომცველი პროცესია, რომელიც შესაბამის ცოდნას, გამოცდილებასა და სწორ დაგეგმვას საჭიროებს. ოფიციალური სტატისტიკის სანდოობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ადმინისტრაციული მონაცემების ხელმისაწვდომობა და მათი ხარისხია. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ მონაცემთა წყაროების გაფართოება საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ ახალი მაჩვენებლები; მოიხსნება დამატებითი ძვირადღირებული გამოკვლევების ჩატარების საჭიროება და შემცირდება რესპონდენტთა დატვირთვაც. აღნიშნული ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას საქართველოში, ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოსახლეობის რეგისტრის ამოქმედება წარმოადგენს. გარდა ამისა, დაგეგმილია სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის შემდგომი გაუმჯობესება. ადმინისტრაციული მონაცემებისა და რეგისტრების განვითარება სტატისტიკის ეროვნული ინფრასტრუქტურის განუყოფელი ნაწილია, როგორც მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციის წყარო და მიმდინარე სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებისას შერჩევის ჩარჩო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება არა მხოლოდ მაღალი ხარისხის ადმინისტრაციულ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა, არამედ საფუძველი ჩაეყრება მონაცემთა მართვისა და კოორდინაციის ერთიანი ეროვნული ეკოსისტემის შექმნას.

მონაცემთა ყოვლისმომცველი ინტეგრაციისა და განახლებულ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილია მონაცემთა შეგროვების ახალი ალტერნატიული ინსტრუმენტების დანერგვა, როგორიცაა ინტერნეტიდან მონაცემების ავტომატურად შეგროვება (Web scraping), ღია აპლიკაციის ინტერფეისების – API-ის (Application Programming Interface) და დიდი მონაცემების (Big data) გამოყენება, სოფლის მეურნეობისა და გარემოსდაცვითი სტატისტიკის წარმოების პროცესში – დისტანციური ზონდირება (remote sensing) და ა.შ.

ამოცანა 1.3 მონაცემთა წარმოების პროცესების მოდერნიზაცია და ავტომატიზაცია მონაცემთა დროული, ზუსტი და ეფექტური დამუშავების უზრუნველსაყოფად

საქსტატს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თანამედროვე მეთოდებისა და სტატისტიკური პროდუქტების მოდერნიზაციის კუთხით. მოცემული სტრატეგიული ამოცანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას პროცესებზე ორიენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურისკენ სვლა და საქსტატში სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ზოგადი მოდელის (GSBPM) დანერგვა წარმოადგენს[2]. საქსტატი გეგმავს, ასევე, სტატისტიკური ორგანიზაციების საქმიანობის ზოგადი მოდელის (GAMSO) უკეთ გაცნობასაც, რომელიც გააფართოებს GSBPM-ის აქტივობების არეალს, განსაკუთრებით კორპორაციული მხარდაჭერის ნაწილში (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ადამიანური რესურსების მართვა). აქვე საგულისხმოა, რომ ევროკავშირის მიერ 2024-2025 წლებისთვის დაფინანსებული „Twinning პროგრამა“[3] მოიცავს საქსტატის GSBPM-ზე

[2] GSBPM (Generic Statistical Business Process Model) – უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესის სტანდარტიზაციას, რაც ხელს უწყობს მოდერნიზაციას, ცოდნის გაზიარებას, მონაცემთა ინტეგრაციას, პროცესების დოკუმენტირებასა და ხარისხის შეფასებას.

[3] https://webgate.ec.europa.eu/online-services/#/

გადასვლის მხარდაჭერის კომპონენტსაც. პროცესი ითვალისწინებს ექსპერტთა შეფასების ჩატარებასაც (peer review) და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმატებულ მაგალითებზე სტატისტიკის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობას GSBPM-ისა და GAMSO-ს წარმატებით დანერგვის გამოცდილების გაზიარების ჩათვლით.

პროცესებზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე გადასვლა განაპირობებს საქსტატის ეფექტურობის ზრდას, ოფიციალური სტატისტიკის უფრო დაჩქარებულ წარმოებას მომხმარებლის საჭიროებების დროულად დაკმაყოფილების მიზნით. საქსტატი თავის მხრივ წაახალისებს სტატისტიკის ეროვნული სისტემის სხვა წევრებსაც ხსენებული მოდელების საჭიროებისამებრ გამოყენებისათვის.

ამოცანა 1.4 ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია მონაცემთა დაცვის შესაძლებლობების განვითარებისათვის

ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურისა და მონაცემთა უსაფრთხოების გაძლიერება 2020-2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო. საქსტატმა, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, მათ შორის IT ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერების, მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის კუთხით. 2024-2027 წლების სტატისტიკის სისტემის განვითარების ეროვნული სტრატეგიის ამბიციური მიზნების მისაღწევად, სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლის გათვალისწინებით, მომხმარებლისა და მონაცემთა მფლობელის ნდობის შესანარჩუნებლად, საქსტატი გეგმავს თავისი IT ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას და მონაცემთა უსაფრთხოების შემდგომ გაძლიერებას. დაგეგმილი ღონისძიებები ხელს შეუწყობს მონაცემთა მოქნილ, გამჭვირვალე და უსაფრთხო მართვას. საქსტატი ასევე განიხილავს მოძველებული მონაცემთა ბაზების ჩანაცვლებას თანამედროვე გადაწყვეტილებებით, რომლებიც უფრო სწრაფად ამუშავებენ რესპონდენტთა დიდი მოცულობის მონაცემებს.

ერთ-ერთ მოსალოდნელ შედეგს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებისთვის ISO 27001 შესაბამისობის მიღწევა წარმოადგენს. მონაცემთა დაცვის მაღალი დონე არის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა სტატისტიკური მიზნებისთვის ადმინისტრაციული რეესტრებიდან ახალ მონაცემებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. საქსტატი გაუზიარებს გამოცდილებას სტატისტიკის ეროვნულ სისტემაში შემავალ სხვა მწარმოებლებს, მონაცემების მიმწოდებლებს და ჩაერთვება მათი ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის მოდერნიზების პროცესში, რაც შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს საერთო სტანდარტებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას მთლიანად, სტატისტიკის ეროვნული სისტემის ფარგლებში.

ამოცანა 1.5 მოქნილი და თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნა

„ადამიანური რესურსების“ კონცეფცია გულისხმობს არა მხოლოდ ადეკვატური პერსონალის დაქირავებას, არამედ მოიცავს ადამიანური რესურსების განვითარების შესაბამისი გეგმის შემუშავებას, რომელიც აუმჯობესებს შიდა და გარე კომუნიკაციებს, საუკეთესოდ იყენებს მწირ რესურსებს და გამოცდილების გასაზიარებლად, რეგულარულად უზრუნველყოფს განვითარების პროცესს ტრენინგებისა და ცოდნის

ამაღლების გზით. 2024–2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ამბიციური გეგმა, მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩათვლით, შეუძლებელია ადეკვატური ადამიანური რესურსების გარეშე.

კვალიფიციური კადრების მაღალი დენადობა კვლავ რჩება საქსტატისა და სტატისტიკის ეროვნული სისტემის სხვა წევრების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ადეკვატური კვალიფიციური რესურსების არსებობისა და ინსტიტუციური ცოდნის შესანარჩუნებლად გატარდება მთელი რიგი ღონისძიებები მოქნილი და თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით.

GSBPM-სა და GAMSO-ზე გადასვლის ფარგლებში ცოდნისა და უნარების გასაზომად შემუშავდება ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია შემდგომში საქსტატის პერსონალისთვის შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად. ხსენებული აქტივობების მხარდასაჭერად საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილების გაზიარება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „Twinning“-ის პროგრამითაა გათვალისწინებული.

მიზანი 2: ნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერება, მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მონაცემთა მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით

ნდობასა და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობებზე პარტნიორობის ჩამოყალიბება მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული თანამშრომლობის მამოძრავებელია, რაც ხელს უწყობს მონაცემთა მართვის ეფექტური და გამჭვირვალე სისტემის განვითარებას. ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა პროფესიული დამოუკიდებლობა, გათვალისწინებულია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული გარემოება საქსტატს სტატისტიკის ეროვნული სისტემის ყველა წევრისთვის ხარისხის სტანდარტული ჩარჩოს განსაზღვრის საშუალებას აძლევს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მონაცემთა მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთნდობის ამაღლებასა და მონაცემთა ერთიანი ეკოსისტემის გაზიარებას, რომლის ფარგლებშიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება ზუსტი და სანდო მონაცემები.

მოცემული სტრატეგიული მიზანი მიმართული იქნება სტატისტიკის ეროვნული სისტემის ფარგლებში დიალოგის გააქტიურებაზე ეროვნულ დონეზე და, ასევე, საერთაშორისო პარტნიორებთან, კერძოდ, ევროკავშირთან.

ამოცანა 2.1 ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში საქსტატის როლის გაძლიერება მონაცემთა მართვისა და კოორდინაციის მიმართულებით

2023 წლის 30 აგვისტოს ამოქმედებული „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი სრულ შესაბამისობაშია „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსთან“ და ოფიციალური სტატისტიკის შესახებ მოდელურ კანონთან (Genelic Law on Official Statistics), რომელიც გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ეგიდით იქნა მიღებული 2016 წელს და განკუთვნილია აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის. კანონი „საქსტატს“ ოფიციალური სტატისტიკის მთავარ მწარმოებლად აღიარებს და ხაზს უსვამს მის როლსა და მნიშვნელობას სტატისტიკის ეროვნული სისტემის კოორდინირებაში. მოცემული სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ფოკუსირებული იქნება სტატისტიკის ეროვნული სისტემის ფარგლებში სტატისტიკის მწარმოებლებისა და ინფორმაციის

მფლობელების თანამშრომლობის გაღრმავებაზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

კერძოდ, აქტივობები ფოკუსირებული იქნება უწყებათაშორის თანამშრომლობაზე, თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე, ერთიანი სტანდარტების დანერგვასა და მათ დაცვაზე, რათა ხელი შეეწყოს თავსებადობას, ინტეგრაციას და პასუხისმგებლობას ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის ჩამოყალიბებას მოცემული სტრატეგიული ამოცანის 2.1 შესრულების მხარდასაჭერად, კერძო სექტორის რესპონდენტების წახალისებას ხარისხიანი მონაცემების მიწოდებისა და პარტნიორული ფორმატების განვითარების საქმეში.

ამოცანა 2.2 საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, საქსტატის, როგორც სანდო პარტნიორის პოზიციონირება ევროკავშირის სტატისტიკურ საზოგადოებაში და აქტიური ჩართულობა გლობალური სტატისტიკის განვითარებაში

მოცემული სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში ერთი-ერთი აქტივობა მიმართულია სტრატეგიული მიდგომების განვითარებისაკენ, ტექნიკური დახმარების მოძიებისა და ძირითადი პარტნიორების (როგორიცაა ევროკავშირი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები) მიერ დაფინანსებული პროექტების ინიცირებისაკენ, ასევე საქსტატისა და სტატისტიკის სხვა მწარმოებლების ჩართულობის გაზრდა ევროკავშირისა და სტატისტიკის გლობალურ დონეზე განვითარების სამუშაოებში. საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) თანამშრომლობის წარმატებული გამოცდილება აქვთ, როგორც სანდო საერთაშორისო პარტნიორებს ფინანსური და მონეტარული სტატისტიკის წარმოებაში.

საქსტატი აქტიურად მონაწილეობს გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (UN ESCAP) რეგიონულ მმართველ ჯგუფში მოსახლეობისა და სოციალური სტატისტიკის შესახებ, რაც საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაცვლის საშუალებაა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ გატარებისათვის. საქსტატის პროფესიონალიზმის აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ ერთხელ დადასტურდა 2023 წელს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UN ECE) გარემოსდაცვითი სტატისტიკის სამუშაო ჯგუფის მოადგილედ საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის არჩევით. მსგავს ინიციატივებში მონაწილეობა გააძლიერებს საქართველოს როგორც სანდო საერთაშორისო პარტნიორის სტატუსს საერთაშორისო სტატისტიკურ საზოგადოებაში და ხელს შეუწყობს შესაძლებლობების განვითარებას ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობისა და მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოების საქმეში.

მიზანი 3: მონაცემებზე ხელმისაწვდომობისა და მომხმარებლების ჩართულობის გაზრდით მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობა და ანალიტიკური პერსპექტივების განვითარება

მოცემული სტრატეგიული პრიორიტეტი ითვალისწინებს აქტივობებს მომხმარებლებზე ორიენტირებული პლატფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენების, სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლისთვის მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული სტატისტიკური პროდუქტები მონაცემების ეფექტური ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს მომხმარებელთა ფართო სპექტრს.

საქსტატის მიერ სტატისტიკის შესახებ წიგნიერების ასამაღლებლად დაგეგმილი ღონისძიებები დაეხმარება მომხმარებლებს მონაცემთა ეფექტურ ინტერპრეტაციასა და

გაანალიზებაში. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შემდგომი ხელშეწყობისთვის, მონაცემებზე მომხმარებელთა რეგულარული გამოხმაურება გაანალიზდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაცემების აღრიცხვა და ფორმატების ადაპტირება უპირატესი საჭიროებების მიხედვით.

მოცემული სტრატეგიული მიმართულების ძირითადი მიზანი მომხმარებლებთან ეფექტიანი დიალოგის წარმართვა და სტატისტიკის შესახებ მათი ცნობადობის დონის ამაღლებაა. ეს მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც ხელს შეუწყობს სტატისტიკის სწორად გაგებას და გამოყენებას, წიგნიერი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებლობით გამოიყენებს მონაცემებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამოცანა 3.1 ანალიტიკური პერსპექტივის ხელშეწყობა, მონაცემთა მაქსიმალურად პასუხისმგებლიანი გამოყენების მხარდასაჭერად

საქსტატი და სტატისტიკის ეროვნულ სისტემაში შემავალი სხვა წევრები იღებენ სტატისტიკისთვის დამატებული ღირებულების მინიჭების ვალდებულებას, რომელიც სცილდება მხოლოდ ნედლი მონაცემების მიწოდებას. დამხმარე ინფორმაცია, როგორიცაა მონაცემების წარმოების კონტექსტი, დაეხმარება მომხმარებლებს სტატისტიკის წარმოების პირობების გაანალიზებაში. დღეს წარმოებული დიდი მოცულობის სტატისტიკური ინფორმაციის და იმ დამატებითი რესურსის გათვალისწინებით, რაც ანალიტიკურ მიმართულებას სჭირდება, შეირჩევა რამდენიმე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომლებზეც გავრცელდება აღნიშნული მიდგომა. ანალიტიკური ნაწილი დაემატება ძირითად პუბლიკაციებს, როგორიცაა „ქალი და მამაკაცი საქართველოში“, რათა ხელი შეეწყოს მონაცემთა უფრო ფართო გაგებასა და გამოყენებას. მონაცემთა ვიზუალიზაციის თანამედროვე ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება მონაცემთა კომპლექსური ნაკრების ინტუიციურ და მომხმარებლებზე ორიენტირებულ პროდუქტად გარდაქმნისთვის. ფართო საზოგადოებისთვის მონაცემების მიწოდება მოითხოვს მსგავსი სტრატეგიის არსებობას.

ამოცანა 3.2 სტატისტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის ამაღლება და მომხმარებლების მიერ არსებული მონაცემების უფრო აქტიური გამოყენება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის მიმართ ნდობის ამაღლების, სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესებისა და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხარისხიანი სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო.

ამ ამოცანის მისაღწევად აუცილებელია მოქალაქეების, მთავრობისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების სტატისტიკური ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა; მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოლოდინების მუდმივი გაზომვის მეთოდების შემუშავების გარდა, მომხმარებლების ცნობიერების ამაღლება საერთო სტატისტიკური წიგნიერების გასაუმჯობესებლად; მედიასთან, სკოლებთან და უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა; აქტიური დიალოგის ხელშეწყობა მომხმარებელთა ფართო ჯგუფებთან მათი საჭიროებების უკეთ გასაგებად; მონაცემთა მომწოდებლებთან ურთიერთობების გაღრმავება; მომხმარებლის კმაყოფილების რეგულარული გამოკითხვის ჩატარება; საჯარო ლექციების, ტრენინგების, კონფერენციების ორგანიზება; საგანმანათლებლო პროდუქტების გამოყენება, როგორიცაა ვიდეო კლიპები და ინფოგრაფიკა.

კონფიდენციალურობის დაცვით მიკრო მონაცემებთან წვდომა ხელს შეუწყობს მკვლევარების მიერ მონაცემების გამოყენებას.

საქსტატი, როგორც საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის მთავარი მწარმოებელი და სტატისტიკის სისტემის მაკოორდინირებელი უწყება, დაინტერესებულია ოფიციალური სტატისტიკის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებით და, იმავდროულად, მზად არის გაატაროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელშემწყობი აქტივობები. ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგია უზრუნველყოფს საზოგადოების, პოლიტიკის გამტარებლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის სტატისტიკის მნიშვნელობისა და ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესის უკეთ გააზრებას. მოცემული სტრატეგიული ამოცანის შესრულებას ხელს შეუწყობს ამოცანა 3.3-ის განხორციელება.

შედეგების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის წარმოჩენის მიზნით, გარე ორგანოს დაევალება საქსტატისა და მთლიანად სტატისტიკის ეროვნული სისტემის სანდოობის გაზომვა.

საქსტატი და სისტემის სხვა წევრები ისწრაფვიან გაზარდონ სამთავრობო ინსტიტუტების შესაძლებლობები ოფიციალური სტატისტიკის გამოყენებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. ამ მიზნის განხორციელებას უზრუნველყოფს ამოცანა 3.1, რომელიც სტატისტიკას მეტად „გამოყენებისთვის მზადყოფნის“ (ready to use) კონტექსტში განიხილავს.

ამოცანა 3.3 ოფიციალური სტატისტიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მონაცემების გავრცელება ახალი და გაუმჯობესებული ინსტრუმენტების მეშვეობით

მოცემული სტრატეგიული ამოცანის მიზანია ოფიციალურ სტატისტიკაზე ხელმისაწვდომობის გაფართოება გავრცელების თანამედროვე ინსტრუმენტების შემუშავებისა და გაუმჯობესების გზით, რათა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია როგორც ეროვნულ დონეზე, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან. მონაცემთა და მეტამონაცემთა გაცვლის სტანდარტი (Statistical Data and Metadata Exchange – SDMX) გამოყენებული იქნება ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელთა მიერ მონაცემთა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიწოდების მიზნით. გლობალური შეფასების უახლესი რეკომენდაციებისა და მონაცემთა გავრცელების საუკეთესო თანამედროვე პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდება სტრატეგიული კომუნიკაციის ყოვლისმომცველი ჩარჩო და ასევე ფორმალური სახელმძღვანელო კრიზისული სიტუაციების სამართავად.

მომხმარებლის შემდგომი ჩართულობის მხარდასაჭერად წახალისებული იქნება მონაცემთა პერსონალიზაცია, რათა მომხმარებლებს საშუალება მიეცეს გაფილტრონ მონაცემები სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული მიიღწევა ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების ინტეგრაციისა და ავტომატიზაციის საშუალებით.